ზმნა და ზმნასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

მოამზადა მაია ინასარიძემ

ზმნა

სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

მხოლობითი რიცხვი

1-ელი პირი. **ვ**.....
2-ე პირი. **ჰ** ან **ს**
(ან **არაფერი**).....
3-ე პირი. .....**ს, ა, ო**

მრავლობითი რიცხვი

1-ელი პირი. **ვ**.....**თ**
2-ე პირი. **ჰ** ან **ს**
(ან **არაფერი**).....**თ**
3-ე პირი. .....**ენ (ნენ), ან, ნ, ეს**

ზმნა

პირდაპირი ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

მხოლობითი

I პ. მ _____

II პ. გ _____

III პ. _____

მრავლობითი

I პ. გვ _____

II პ. გ _____ (თ)

III პ. _____

ირიბი ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

მხოლობითი

I პ. მ _____

II პ. გ _____

III პ. ჰ, ს _____

მრავლობითი

I პ. გვ _____

II პ. გ _____ (თ)

III პ. ჰ, ს _____ (თ)

ზმნის პირის ნიშნების მართლწერასთან დაკავშირებული წესები

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი – ვ- პრეფიქსი (ზეპირმეტყველების გავლენით) არ უნდა დაიკარგოს ვ, ო, უ ბგერებით დაწყებულ ფუძეებთან, რომ არ მოხდეს პირველი და მეორე პირის ფორმათა დამთხვევა (ვოცნებობ, ვუთხარი). აღნიშნული წესის თანახმად, ვ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან თავს მოიყრის ორი ვ (პირის ნიშანი + ფუძის დასაწყისი ბგერა); სავალდებულოა ორივე მონაცემის შენარჩუნება; მაგალითად, ววარჯიშობ, ววარცხნი და ა.შ.

ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული წესები

- პირველი ობიექტური პირის მხ. რიცხვის ფორმაში მ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან ორი მ გაჩნდება: პირის ნიშანი + ფუძის დასაწყისი ბგერა; მაგალითად, მმართებს, მმალავს და ა.შ.
- პირველი ობიექტური პირის მრ. რიცხვის ფორმაში გვ- ბგერათკომპლექსით დაწყებულ ფუძეებთან ორი გვ- მოიყრის თავს; მაგალითად, დაგვგვიანებია.
- მეორე ობიექტურ პირში გ- თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან ორი გ- მოიყრის თავს: პირის ნიშანი + ფუძის დასაწყისი ბგერა; მაგალითად, ggონია, ggავს და ა.შ.

ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული წესები

- პირდაპირ და ირიბ ობიექტურ პირთაგან მესამე პირში ნიშნები მხოლოდ **ირიბს** აქვს. ეს ნიშნებია ჰ- და ს- პრეფიქსები, რომელთა გამოყენების არ ეალსაც განსაზღვრავს ზმნის ფუძის დასაწყისი ბგერები, კერძოდ: ბ, პ, ფ, გ, კ, ქ, ყ თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან იქნება ჰ-, ხოლო, ტ, თ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების შემთხვევაში – ს- პრეფიქსი.
- მესამე პირის პირდაპირ ობიექტს, მართალია, ნიშანი არ აქვს, თუმცა რამდენიმე ზმნაში აუცილებელია ს- ნიშნის გამოყენება, მაგ.: გასცა (მოწყალება), გამოსცა (წიგნები), ასწია (ტვირთი), გასწია (ჭაპანი)... ასევე, **ს** შენარჩუნებულია ფორმებში: გასტანა, დასძინა და სხვ.

დაიმახსოვრეთ!

ჰ- / ს- პრეფიქსების არასწორად გამოყენების მთავარი მიზეზი ხშირად ისაა, რომ ზოგს უჭირს პირდაპირი და ირიბი ობიექტების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამისათვის ყველაზე კარგი საშუალებაა ზმნის ფორმის წყვეტილის მწკრივში გადაყვანა, კერძოდ, რა ქნა? კითხვის დასმის შემთხვევაში, **პირდაპირი ობიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, ხოლო ირიბი ობიექტი – მიცემით ბრუნვაში.**

მაგალითად:

რას შვრება? – სთხოვს კაცი მეზობელს (ობ.) ფულს (ობ.)

რა ქნა? – სთხოვა კაცმა მეზობელს (ირ. ობ.) ფული (პირ.ობ.)

პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნებში

რთულფუძიან ზმნებს მიეკუთვნება შემდეგი ფორმები: ცხადყოფს, ნათელყოფს, უზრუნველ-ყოფს, უგულებელყოფს... დიდკაცობს, თავმომწო-ეობს, ქედმაღლობს, გულდიდობს...

- აღნიშნული ფორმები მიღებული უნდა იყოს ერთ დროს დამოუკიდებელი სიტყვების შეერთებით, თუმცა წარმოების პრინციპი განსხვავებულია, კერძოდ: **პირველი რიგის მაგალითების მიხედვით (ცხადყოფს...), სახელს დაერთო ყოფს მეშველი ზმნა, ხოლო მეორე რიგის შემთხვევებში (დიდკაცობს...) უშუალოდ რთული ფუძისგან წარმოიქმნა ზმნური ფორმა.**

პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნებში

სალიტერატურო ნორმების მიხედვით, გასათვალისწინებელია შემდეგი: პირველი სუბიექტური პირის ნიშანი *ცხადყოფს* ტიპის ფორმებს დაერთვის მხოლოდ ზმნურ ნაწილზე, მაგალითად:

ცხად-ვ-ყოფ, ნათელ-ვ-ყოფ, უზრუნველ-ვ-ყოფ, უგულებელ-ვ-ყოფ, შეურაცხ-ვ-ყოფ...

პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნებში

<u>*დიდკაცობს*</u> ტიპის ფორმებს ვ სუბიექტური პირის ნიშანი დაერთვის თავშივე. მაგალითად:

ვ-ქედმაღლობ, ვ-ავადმყოფობ, ვ-დიდკაცობ, ვ-თავმომწონეობ, ვ-გულმაგრობ...

დაიმახსოვრეთ!

ვნებითი გვარის ფორმებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

- ერთპირიანი ფორმები III სერიაში იწარმოება წარსული დროის მიმღეობითა და ვარ მეშველი ზმნით. პირველ თურმეობითში მათ ორმაგად დაერთვის ვ- პრეფიქსი: ერთი – მიმღეობურ ნაწილზე, ხოლო მეორე – მეშველ ზმნაზე; მაგალითად, დავმალულვარ, დავბადებულვარ... მეორე თურმეობითსა და III კავშირებითში ვ თავსართი მხოლოდ მიმღეობურ ნაწილშია; მაგალითად, დავმალულიყავი, დავბადებულიყავი...
- ორპირიანი ფორმებისათვის მეორე თურმეობითში (რა მექნა?) ნორმაა -ოდ სუფიქსიანი წარმოება, მაგალითად: გავჩენოდი, ჩავჯდომოდი.

ზმნისწინები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ზმნისწინი ერთ- ან ორმარცვლიანი ფორმამაწარმოებელი მორფემაა, რომელიც თავში დაერთვის ზმნის ფორმას.

ზმნისწინებიდან ერთ ნაწილს მოეპოვება **ძველი, არქაული** ვარიანტები; შდრ.: ა – აღ; გა – გან; ჩა – შთა; წა – წარ; გადა – გარდა.

ზმნისწინთა ძველი და ახალი სახეობით გამოყენებამ განაპირობა მათი აღრევა და არანორმატიული, მიუღებელი ფორმების გაჩენა, კერძოდ, გაიხლიჩა არქაული ფორმის ზმნისწინები და მათი ნაწილი აღმოჩნდა ზმნის ფუძეში.

მაგალითად: განმათავისუფლეთ – გამანთავისუფლეთ; განვაგრძობ – გავნაგრძობ, აღვნიშნავ - ავღნიშნავ...

დაიმახსოვრეთ!

- მიუღებელია ზმნისწინის გახლეჩა სხვა ელემენტებით (პირის ან ქცევის ნიშნებით);
- ზმნისწინის გამოყენება შესაძლებელია ან არქაული ფორმით, ან გამარტივებული სახით ისე, რომ არ დაირღვეს მისი კონსტრუქცია. მაგალითად: განათავისუფლე / გაათავისუფლე, განახორციელებს / ახორციელებს, განასახიერებს / ასახიერებს, განაცვიფრებს / აცვიფრებს, აღვზრდი /ვზრდი, აღვნიშნავ / ვნიშნავ.

თემის ნიშანთა მართლწერა

დაიმახსოვრეთ:

- გაუმართლებელია თემის ნიშნის დართვა ფუძეში ხმოვანმონაცვლე და ერთთემიან ზმნებზე, მაგალითად:

<u>ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნები:</u>

სწორია: კბეჩს, ხვრეტს, წყვეტს, ცვეთს.

შეცდომაა: კბეჩავს/ კბიჩავს, ხვრეტავს/ხვრიტავს, წყვეტავს /წყვიტავს, ცვეთავს / ცვითავს...

<u>ერთთემიანი ზმნები:</u>

სწორია: კვეცს, ტეხს, იხვეჭს.

შეცდომაა: კვეცავს, ტეხავს, იხვეჭავს.

თემის ნიშანთა მართლწერა

თემის ნიშნის არჩევანი, ძირითადად, მოწმდება ზმნის საწყისი ფორმის დაბოლოებით, კერძოდ: საწყისი შეიცავს თემის ნიშნის ბგერათკომპლექსს (ზოგჯერ შებრუნებული რიგითაც), მაგალითად,

კეთ-ებ-ა / გააკეთ-ებ-ს

ბარ-ვა / დაბარ-ავ-ს

დადგ-მა / დადგ-ამ-ს

მიც-ემ-ა / მისც-ემ-ს

დაყ-ოფ-ა / დაყ-ოფ-ს...

გამონაკლისია **შთანთქმა**, რომელსაც პირიანი ფორმები -ავ ნიშნით ეწარმოება, მაგ.: შთანთქავს, შთანთქავდა.

სავარჯიშო N1

რომელია სწორი?

ა) სდგას

ბ) სჩანს

გ) სწყევლის

დ) სძულს

სავარჯიშო N2

რომელია სწორი?

ა) ვუგულებელვყოფ

ბ) უგულებელვყოფ

გ) ვუგულებელყოფ

დ) უგულებელვჰყოფ

სავარჯიშო N3

რომელია <u>არასწორი</u>?

ა) ბზინავს

ბ) ზნიქავს

გ) ჭიმავს

დ) თიბავს

სავარჯიშო N4

რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) გამომცემლობამ ასზე მეტი წიგნი გამოცა.

ბ) ჩემს შვილს ცხრა საათზე სძინავს.

გ) გაზაფხულზე ხეები ლამაზად ყვავის.

დ) ფოთლები ქარდაქარ მიქრიან.

სავარჯიშო N5

რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) ამ პროექტით არქიტექტორი ახორციელებს ახალ იდეას.

ბ) მსახიობი კარგად ანსახიერებს როლს.

გ) ბიბლიოთეკარი აცალკევებს ძველ და ახალ წიგნებს.

დ) მეცნიერი ნაშრომში ავითარებს საინტერესო იდეას.

გისურვებთ წარმატებას!